მასწავლებელი

N1(44), 2017

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა





## ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო ინგოროყვა

**რედაქტორები:**
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

**რედკოლეგია:**
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

**სტილისტი:**
ირმა ტაველიძე

**დიზაინი:**
ბესიკ დანელია

**მხატვარი:**
მამუკა ტყეშელაშვილი

**კორექტორი:**
ქეთევან ნიკოლეიშვილი

**ნომერზე მუშაობდნენ:**
გიორგი მაჩაბელი,
ნინო ჭიაბრიშვილი,
ნატალია ედიშერაშვილი,
გიორგი ნოზაძე, მაია ჯალიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ანა ჯანელიძე,
მანანა ბოჭორიშვილი,
ირმა კახურაშვილი,
ცვატა ბერძენიშვილი, ინგა ლომაძე,
ქეთევან ოსიაშვილი, მარიამ გოდუაძე

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

WWW.TPDC.GE

მასწავლებლები ხშირად ვფიქრობთ იმაზე, თუ რატომ განიცდიან ჩვენი მოსწავლეები მარცხს. რამდენიმე დღის წინ, ერთ საინტერესო წიგნს გადავეყარე და იქ გამოთქმული მოსაზრებები ძალიან მნიშნა. ამიტომაც მომინდა თქვენთვის გამეზიარებინა.

„როგორ მარცხდებიან ბავშვები“ – ასე ქვია ჯონ ჰოლტის წიგნს, რომელიც ავტორის ხანგრძლივი სამასწავლებლო კარიერისდროინდელ ჩანაწერებსა და კვლევას ემყარება.
მისი აზრით, ბავშვები უპირველესად იმიტომ განიცდიან მარცხს, რომ ეშინიათ, სწყინდებათ და იბნევიან.

წიგნის ავტორის მოსაზრებები მოკლედ რომ შევაჯამოთ, მარცხის ძირითადი მიზეზები ასეთია:
სკოლა ხელს უწყობს შიშის ატმოსფეროს დამკვიდრებას – წარუმატებლობის შიში, დამცირების შიში, დაწუნების შიში ყველაზე უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის ინტელექტუალური ზრდის უნარზე. მოსაწყენობა მეორე დაბრკოლებაა, რომელიც თრგუნავს როგორც სწავლისადმი თანდაყოლილ მოტივაციას, ისე სწავლის სიყვარულს. როგორც კი ბავშვი თანამედროვე სასკოლო სისტემის ნაწილად იქცევა, სკოლა და მშობლები, გაუცნობიერებლად საბოტაჟს უწევენ მის განათლებას.

სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვები ხშირად აღმოაჩენენ, რომ მათ ისეთ რამეს ასწავლიან, რაც ეწინააღმდეგება ადრე მშობლებისგან ან სხვა უფროსებისგან ნასწავლს. უფრო მეტიც – უფროსები სკოლაში მათ ისე არ ექცევიან, როგორ ქცევასაც შინ, თავისიანებისგან იყვნენ ჩვეულნი.

ჰოლტის აზრით, „ნამდვილი სწავლა“ სულაც არ ნიშნავს წერა-კითხვასა და არითმეტიკის საბაზო ცოდნაში დახელოვნებას. იგი უფრო მაშინ ვლინდება, როდესაც ბავშვს ხელს უწყობენ თავისი ინდივიდუალური ნიჭისა და უნარების განვითარებაში. სწავლის დღევანდელი სტრატეგიები ბავშვებში დამცირების შიშის გაღვივებას უწყობს ხელს და ზიანს უფრო აყენებს მათ, ვიდრე საჭიროებათა დაკმაყოფილებას ემსახურება. ეს შიში მოსწავლეებს აიძულებს, გამოიმუშაონ შეგუების სხვადასხვაგვარი სტრატეგია და თადაცვის მექანიზმი.

ჰოლტი ასკვნის, რომ მათ შორის, რაც იცის ბავშვმა და რაც გვგონია იცის, დიდი სხვაობაა. გაკვეთილის შინაარსის ნაცვლად ბავშვები იმას სწავლობენ, როგორ მოიქცნენ, როგორ გადარჩნენ ან შეცვალონ მასწავლებლის შეკითხვა, რათა მდგომარეობას მინიმალური დანაკარგით ან დამცირებით დააღწიონ თავი.

ჰოლტის გამოკვლევა დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემის შესახებ წარმოადგენს კრიტიკულ და შორსმჭვრეტელურ ნაშრომს, რომელიც გვაიძულებს, უფრო ახლოდან შევხედოთ იმ გაკვეთილებს, რომლებსაც უნებლიეთ გადავცემთ ჩვენს მოსწავლეებს.



## მოსაზრება


4 გიორგი მაჩაბელი
**განათლების სისტემის დაგეგმვის საფუძვლები**

განათლების სექტორის დაგეგმვა გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ტექნიკური პროცესი. ის მეტწილად ორგანიზებულ სოციალურ პროცესს წარმოადგენს, მასში ჩართული დაინტერესებული აქტორების მრავალგვარობის გათვალისწინებით.

8 მაია ჯალიაშვილი
**მოსწავლის არჩევანი – გონებრივი იერიშის ნიუანსები**

სწავლების არც ერთი მეთოდი არ არის პანაცეა და ყველა სასწავლო სტრატეგიას თავისი შესაფერისი გარემოება ანიჭებს უპირატესობას. ამ გარემოებას კი ქმნის სხვადასხვა კომპონენტი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია სასწავლო მიზანი, რომლის განხორციელებისთვის უნდა შეირჩეს ყველა აქტივობა.

26 ანა ჯანელიძე
**დიალოგი, სიცილი და თამაში – ძაფი და ჩხირები განათლების პროცესის მოსაქსოვად**
ანუ გაკვეთილები ბახტინისგან

განსხვავებული დარგობრივი „სათვალეების მორგება“ ამდიდრებს და ახალ სიცოცხლეს აძლევს განათლებას, მიუხედავად იმისა, ახლებური ხედვა, საბოლოო ჯამში, მისაღებია ჩვენთვის თუ არა.

38 ნატალია ედიშერაშვილი
**შეფასების რუბრიკის შექმნის ძირითადი პრინციპები**

ხშირად მასწავლებელი რუბრიკას მხოლოდ ნიშნის დასაწერად იყენებს და უგულებელყოფს ამ ინსტრუმენტის როგორც განმავითარებელი შეფასების მრავალმხრივ პოტენციალს, ყოველივე ეს კი ნეგატიურ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პროცესზე.

43 გიორგი ნოზაძე
**რატომ, რისთვის და როგორ უნდა იწერებოდეს ნიშნები სკოლაში**

შეფასებისა და ნიშნების წერის ასეთი ყოვლისშემძლეობის მიზეზი მარტივია – მოსწავლე და მისი მშობელი ორიენტირებულნი არიან იმაზე, თუ რას და როგორ ასწავლიან, არამედ იმაზე, თუ რაში და როგორ აფასებენ. ასეთ ვიწრო პრაქტიკულ პრაგმატიზმში ვერავის დაადანაშაულებთ, ყველგან ასეა, ამიტომ გამოსავალი ერთია – შეფასებისა და ნიშნების წერის რეფორმა.


## გამოცდილება


47 ნინო ჭიაბრიშვილი
**„არ წაიკითხავენ, იძულებას კი აზრი არ აქვს“**

დასჯის მიმართ თანამედროვე ბავშვი ნაკლებმგრძნობიარეა. სწორედ ამიტომ არის საჭირო ბავშვთან ემოციური კავშირის დამყარება, რომ დისტანციამ დისკომფორტი შეუქმნას, ემოციური სითბოს დაკარგვის შიში გაუჩინოს. ეს მთავარი ბერკეტია. სხვაგვარი აღარ არსებობს.




## საერთაშორისო გამოცდილება


54 ირმა კახურაშვილი
**წერილი მასწავლებელს**

არ არსებობს პედაგოგიკის პრინციპები, რომლებიც ყველასათვის მისაღები იქნება და ყოველგვარ სიტუაციას მოერგება. და რომც არსებობდეს, ისინი ყოველდღე უნდა აღმოვაჩინოთ, რადგან არც ერთი მოსწავლე არ ჰგავს ერთმანეთს და ყველა ამოცანაც გადაჭრის სხვადასხვა გზას მოითხოვს.



# სარჩევი


## განათლების ფსიქოლოგია

**19** ცვატა ბერძენიშვილი

### მოსწავლეთა აზროვნების განვითარება

მრავალი წელია მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება სკოლებში – პროცესზე თუ შინაარსზე, პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევებზე თუ საბაზო ცოდნაზე, მაღალი დონის აზროვნებაზე თუ აკადემიურ ინფორმაციაზე. განათლების ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მოსწავლეებს უნდა ასწავლონ აზროვნება, მაშინ როცა, სხვა სპეციალისტების აზრით, მოსწავლე ვერ ისწავლის „აზროვნებას“ აბსტრაქტულად. ის უნდა ფიქრობდეს რაიმე კონკრეტულზე, რაღაც სახის შინაარსზე.






## მოსაზრება

**22** ქეთევან ოსიაშვილი

### რატომ არ უნდა შევადაროთ ბავშვები ერთმანეთს

კარგი იქნება, თუ ბავშვს მივიღებთ ისეთს, როგორიც არის; არ ვეცდებით დავამსგავსოთ სხვას; გვეყვარება და ვიამაყებთ მისით, განურჩევლად იმისა, მარცხს განიცდის, თუ წარმატებას. გავითვალისწინოთ, რომ თითოეულ ბავშვს აქვს განვითარების საკუთარი, ინდივიდუალური გზა და ვერასოდეს დაემსგავსება სხვას.

## რესურსი

**12** მანანა ბოჭორიშვილი

### აზროვნების „განსაცდელის“ დაძლევა

აზროვნებითი „განსაცდელის“ დასაძლევად სპეციალისტები გვთავაზობენ, მოსწავლეებს ვასწავლოთ სასწავლო სიტუაციებით, რომლებიც მათ გადაწყვეტილების მიღების უნარს განუვითარებს. ეს სიტუაციები ეყრდნობა პრინციპს, რომლის საფუძველია ოთხი „სამშენებლო ბლოკი“ ან მათი მონაცვლეობა. ისინი განმარტავენ, რომ ამით შესაძლებელია ნებისმიერი აზროვნებითი „განსაცდელის“ დასაძლევი სტრატეგიის აგება.

**15** მაია ფირჩხაძე

### სისტემატიზაციის პრინციპების გამოყენება გაკვეთილზე

რა მეთოდები, მიდგომები და ტექნოლოგიური ხერხებიც უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილზე კარგი შედეგების მისაღწევად, მაინც დაგვჭირდება, გავუმკლავდეთ ისეთ პრობლემას, როგორიცაა ცოდნის მთლიან სისტემად წარმოდგენა. ამ მიზნის მისაღწევად ძირითად იდეაზე აქცენტირება, ინტერვალებით სწავლა, კონტექსტის დამახსოვრება და ა.შ. ხშირად არასაკმარისია.

**34** ინგა ლომაძე

### ახსნის ხელოვნება

ახსნის პროცესში მასწავლებლის მთავარი მტერია ხანმოკლე მეხსიერების შეზღუდული მოცულობა. ნუ ეცდებით ყველაფრის მოყოლას, რაც საკითხის შესახებ იცით. გამოიყენეთ მხოლოდ ის ინფორმაცია, ურომლისოდაც საკითხის ახსნა შეუძლებელია.

**52** მარიამ გოდუაძე

### როდის და როგორ შევისვენოთ ინკლუზიურ საკლასო ოთახში

აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ან აუტისტ ბავშვებს უძნელდებათ სტრესის მოხსნის სტრატეგიების შესწავლა. არადა, ეს საქმე შესაძლებელი და აუცილებელია. თუკი სკოლაში რამდენიმე სპეცმასწავლებელია, შეიძლება შექმნან როლური სიტუაცია, რომელსაც ბავშვს დაანახებენ და აუხსნიან, რომ ასეთი ფორმით უნდა ითხოვონ შესვენება.


